საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 6 23 0000075590

25/01/2023

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 20 იანვრის N49944 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანებაში და ბრძანების მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 15^1-15^4 პუნქტები:

„15^1. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ ცენტრის საქმიანობის შეფასების კითხვარის ინგლისურენოვანი ფორმა დანართი №15-ის შესაბამისად;

15^2. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ექსპერტთა ჯგუფის წევრების საქმიანობის შეფასების კითხვარის ინგლისურენოვანი ფორმა დანართი №16-ის შესაბამისად;

15^3. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ ცენტრის საქმიანობის შეფასების კითხვარის ინგლისურენოვანი ფორმა დანართი №17-ის შესაბამისად;

15^4. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ინგლისურენოვანი ფორმა დანართი №18-ის შესაბამისად.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე - 12 კმ, N6).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ